ახალი ხარაგაული

358 (17) 4 აგვისტო, 2017 წ

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ლევან ცუცქირიძის სახელობის სახვითი ხელოვნების დარბაზი გაიხსნა

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს ლევან ცუცქირიძის სახელობის სახვითი ხელოვნების დარბაზი შეემატა. 40-მდე მხატვრის 46 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი ორ დარბაზში განთავსდა. უნიკალური კოლექცია მუზეუმს საჩუქრად სამხატვრო სტუდია „ფრესკას“ დამფუძნებლის, მამუკა ცუცქირიძის (ლევან ცუცქირიძის ვაჟი), ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ თოფურიძის, მხარდაჭერით გადმოეცა. ლევან ცუცქირიძე წარმოშობით ხარაგაულელია და მუზეუმში ამ დრომდე მისი სამი ფერწერული ტილო ინახებოდა, რომელსაც კიდევ ერთი – „კომპოზიცია“ შეემატა. სტუდია „ფრესკა“ მუზეუმისთვის შემოდგომაზე ქანდაკებების გადაცემასაც გეგმავს. ასევე იგეგმება ბავშვებისთვის სტუდიის ფილიალის გახსნა და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელება.

გამოფენას იმერეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე **პაატა ნადირაძე**, ვიცე-გუბერნატორი **იოსებ ხახალეიშვილი**, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი **კობა ღურსმანაშვილი**, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ თოფურიძე**, მოადგილეები: **არჩილ მაღრაძე და თემურ ჩხეიძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის დირექტორი, **ნინო დიდიძე**, მოხარულია, რომ მუზეუმს ეროვნული ხელოვნების ესოდენ ძვირფასი ნამუშევრები შეემატა და აღნიშნავს, რომ ასეთი რამ მსოფლიო მუზეუმებისთვისაც კი იშვიათი შემთხვევაა. დიდიძის ინფორმაციით, მუზეუმში უკვე ათი ათასზე მეტი ექსპონატია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ თოფურიძე** დასძენს, რომ ეს დღე ისტორიულად მნიშვნელოვანია ხარაგაულის ცხოვრებაში. იგი მადლობას უხდის მოადგილეებს არჩილ მაღრაძეს, თემურ ჩხეიძეს, მუზეუმის დირექტორს და თითოეულ თანამშრომელს იმ ფინანსური თუ მორალური მხარდაჭერისთვის და აქტიური ჩართულობისთვის, რაც მათ გასწიეს. გამგებელი ამბობს, რომ შეუფასებელია ის კოლექცია, რაც მუნიციპალიტეტს სტუდია „ფრესკამ“ უსახსოვრა.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი **კობა ღურსმანაშვილი** მიიჩნევს, რომ ცნობილი მხატვრის, ლევან ცუცქირიძის, დარბაზის გახსნა მეტად საამაყოა ხარაგაულის საზოგადოებისათვის. დეპუტატის თქმით, დღევანდელი დღე ძალზე შთამბეჭდავ ფაქტად აღინუსხება მუზეუმის ისტორიაში.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**, იმედოვნებს, რომ ასეთი ძვირფასი ნამუშევრების დათვალიერება ახალგაზრდებს ხელოვნებისკენ სწრაფვას გაუძლიერებს. „მუზეუმები და, მათ შორის, ჩვენი ისტორიული მუზეუმი ის კერაა, საითკენაც ისწრაფვის ყველა თაობის ადამიანი. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა მის დიდ მნიშვნელობას ჩვენი ახალგაზრდებისათვის. ვფიქრობ, ლევან ცუცქირიძის დარბაზის გახსნა მათ ინტელექტის ამაღლების საშუალებას მისცემს.“-აღნიშნავს ქალბატონი მანანა.

მხატვარი **ზაირა ბეჭვაია** ხარაგაულში სტუმრობით აღფრთოვანებულია და თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს. „ძალიან მომეწონა აქაურობა. არაჩვეულებრივი ბუნებაა და საოცრად ნათელი გონების, თბილი და საყვარელი ადამიანები ცხოვრობენ.უბედნიერესი ვარ, რადგან წილად მხვდა პატივი, დავსწრებოდი ისეთი ადამიანის ხელოვნების დარბაზის გახსნას, როგორიც ლევან ცუცქირიძეა.“

ღონისძიების დასასრულს მუზეუმის დირექტორმა **ნინო დიდიძემ** მხატვრებს სიგელები - „მუზეუმის მეგობარი“ და სიმბოლური საჩუქრები გადასცა. ლევან ცუცქირიძემ 23 ივლისი ხარაგაულისთვის ბედნიერ დღედ შეაფასა და მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, ვინც მცირედი წვლილიც კი შეიტანა მისი სახელობის სახელოვნებო დარბაზის გახსნაში. ნამუშევრები მუზეუმში მუდმივად იქნება გამოფენილი. აღსანიშნავია, რომ კოლექციაში სხვადასხვა თაობის ცნობილი ქართველი მხატვრების ნამუშევრებია წარმოდგენილი.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, წაქვაში ცენტრალურ გზაზე პეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. წესრიგდება პრობლემური მონაკვეთები და მუნიციპალიტეტის 26 სოფელს წლის ბოლომდე კეთილმოწყობილი გზები ექნება. წაქვაში, სადაც მოსახლეობას უგზოობის პრობლემა წლებია აწუხებს, სულ მალე კომფორტულ გზაზე შეეძლებათ გადაადგილება. პროექტის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლის ცენტრალური გზის 1,5 კმ-იან მონაკვეთს, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან 262 950 ლარით დაფინანსდა და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „პემ“ ასრულებს.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ**, პირადად მოინახულა და საქმის ვითარებას ადგილზე გაეცნო. თოფურიძის თქმით, ამ გზის რეაბილიტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სოფლის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.გამგებელი ამბობს,რომ ძლიერი სოფელი ხელისუფლების ერთ- ერთი მთავარი პრიორიტეტია და ადგილობრივი თვითმმართველობა მაქსიმუმს გააკეთებს იმისათვის, რომ ყველა ადმინისტრაციული ერთეული იყოს გამართული და მოწესრიგებული.

შეგახსენებთ, რომ წაქვაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

ეკა შავიძე

ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განხორციელდა

მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის რეგიონების პროექტების მონიტორინგის სამსახურის უფროსმა, მინდია ღლონტმა, ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განახორციელა. საგზაო ინფრასტრუქტურის დათვალიერებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, **არჩილ მაღრაძე**, გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, **მალხაზ ფხალაძე** და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, **თემური თაბუკაშვილი**, ესწრებოდნენ.

მინდია ღლონტი ხარაგაულში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესრულების ხარისხით, ვადებითა და ტექნიკური დეტალებით დაინტერესდა. რეგიონების პროექტების მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მიუხედავად მუნიციპალიტეტის რთული რელიეფისა, მუშაობის ტემპი აქტიურია, რაც იმედს იძლევა, რომ შემოდგომის ბოლოს ხარაგაულში ყველა პროექტი დასრულებული იქნება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო რეგიონებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგს სხვა მუნიციპალიტეტშიც აწარმოებს.

ჯაფაროულში ბუნებრივი აირი ჩაირთო

სოფელ ჯაფაროულში გაზიფიცირების სამუშაოები დასრულდა. ამიერიდან ყველა ოჯახს ექნება საშუალება, ბუნებრივი აირით ისარგებლოს. სოფლის 60 აბონენტიდან ცენტრალურ მაგისტრალზე ნახევარზე მეტი უკვე დაერთებულია.

„სოკარ ჯორჯია გაზის“ ზესტაფონის სერვის-ცენტრის მენეჯერმა ლევან აბაშიძემ, ხარაგაულის ფილიალის თანამშრომლებთან ერთად, ბუნებრივი აირი სიმბოლურად ვიტალი მეტრევლის ოჯახში აანთო.

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, შემდეგი სოფელი, სადაც გაზიფიცირება დასრულდება, ბაზალეთი იქნება და ასე გაგრძელდება თანმიმდევრულად. ჩხერი, ახალსოფელი და თეთრაწყარო დაზამთრებამდე ბუნებრივ აირს მიიღებენ.

„ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ჩვენს სოფელშიც აინთო ბუნებრივი აირი და მოსახლეობისთვის ეს წინგადადგმული ნაბიჯია. დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ მეტად სასიკეთო პროექტის განხორციელებაში წვლილი შეიტანა. მრავალი წელია, ზამთარში შეშის ღუმელით ვსარგებლობდით, ახლა დავისვენებთ და ცხოვრებაც გაგვიადვილდება.“ -აღნიშნავს ჯაფაროულში მცხოვრები ნანა ხიჯაკაძე.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა

„ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ინიციატივით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე სოფლების: ხევის, გრიგალათის, ხუნევის, ნადაბურის, ვერტყვიჭალის, ბორითის, საქასრისაა და უბისის მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა. აქცია საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ არსებულმა სამედიცინო ბრიგადამ განახორციელა, რომლის ფარგლებში პაციენტებს უფასოდ მოემსახურნენ თბილისის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების მაღალკვალიფიციური ექიმები: კარდიოლოგი, თერაპევტი, პედიატრი, ნევროლოგი, ანგიოლოგი, ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, გინეკოლოგი, ოტოლარინგოლოგი. მობილურ ბრიგადას ახლდნენ ასოციაციის თავმჯდომარე ქალბატონი მაია კვეზერელი-კოპაძე და ამავე ორგანიზაციის ბუღალტერი ნონა სოსანაშვილი. პაციენტებს, საჭიროებისამებრ, ჩაუტარდათ უფასო ექოსკოპიური, კარდიოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევები. მამაკაცებს გაუკეთდათ PSA (პროსტატის ანალიზი), ხოლო ქალბატონებს PAP ტესტი(საშვილოსნოს ყელის ციტოლოგიური კვლევა). აქციის ფარგლებში, მათ ასევე უფასოდ გადაეცათ ფართო სპექტრის მედიკამენტები. მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ მცირეასაკიანი შვილების ოჯახებს კი – ჰიგიენური საფენები დაურიგდათ. დიაგნოსტიკური კვლევები ათეულობით მოქალაქეს სოფელ ხევის საჯარო სკოლაში ჩაუტარდა.მოსახლეობის მობილიზება და ტრანსპორტირება ზემოხსენებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებმა და მაჟორი-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა

დასაწყისი ▶ 1 გვ.

ტარმა დეპუტატებმა უზრუნველყვეს.

სამედიცინო აქციას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე დაესწრნენ. ხელმძღვანელმა პირებმა აქციის ორგანიზატორებს მუნიციპალიტეტში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადეს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 24 წლის განმავლობაში ახორციელებს სხვადასხვა საქველმოქმედო პროგრამას. ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ჯანმრთელობის დაცვა გახლავთ. წლების განმავლობაში ასოციაციასთან არსებული მობილური სამედიცინო ბრიგადა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას უფასოდ ემსახურება.

ეკა შავიძე

ხარაგაულის გზების რეაბილიტაცია ინტენსიურად მიმდინარეობს

წელს საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების ფონდმა ხარაგაული 6 მილიონი ლარით დააფინანსა. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ პრიორიტეტი სოფლის ცენტრალური გზების მშენებლობას მიენიჭა. გამგებლის, **ნიკოლოზ თოფურიძის**, ინფორმაციით, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით, ტენდერი თითქმის ყველა პროექტზეა გამოცხადებული. რამდენიმე სოფელში კი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

დასრულებულია გედსამანიისა და ღარიხევის გზის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ნადაბურში. ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია ლახუნდარაში, ლაშის იგორეთში, წაქვაში, ვახანში, ვაშლევში, მაქათუბანსა და ვერტყვილაში.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი განმარტავს, გზების მშენებლობა ხარაგაულის სოფლებში ოქტომბრის ბოლოს დასრულებული იქნება. მიმდინარე წელს ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბა ხარაგაულის ქუჩებსა და ჩიხებს, რამდენიმე ქუჩაზე მოეწყობა საყრდენი კედლები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პროექტს რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს.

ჯამში 2017 წელს ხარაგაულის 26 სოფელში გზები კაპიტალურად მოეწყობა. მუნიციპალიტეტში პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებითაც ხორციელდება. რამდენიმე სოფელში შეკეთდება ხიდ-ბოგირები და მოეწყობა წყლის მაგისტრალები.

როგორც ნიკოლოზ თოფურიძე ამბობს, 3-4 წელიწადში ხარაგაულის ყველა სოფელი მუნიციპალურ ცენტრს მოწესრიგებული გზით დაუკავშირდება.

ხარაგაულში სარკინიგზო გვირაბის ნგრევის შედეგად ორი დასაქმებული დაშავდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ანეულაში სარკინიგზო გვირაბის მშენებლობისას შენობის ნაწილი ჩამოინგრა. შემთხვევის შედეგად ორი მუშა დაშავდა. ერთ-ერთის,თამაზ ტალახაძის, ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია და იგი თბილისში, კლინიკა „ლანცეტში“, გადის მკურნალობას. პაციენტს აღენიშნება თავისა და ცხვირის ძვლების მოტეხილობა, ასევე ჰემატომა შუბლის არეში. რაც შეეხება ვეფხვია კაკიაშვილს,მისი მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ**, დაზარალებული კლინიკა „ლანცეტში“ ადგილზე მოინახულა, ხოლო გამგებლის მოადგილეები **არჩილ მაღრაძე** და **თემურ ჩხეიძე** დაშავებულების ოჯახებში პირადად მივიდნენ და მათ გვერდით დგომა აღუთქვეს. **ნიკოლოზ თოფურიძის** ინფორმაციით, „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“ სრულად დაფარავს დაშავებული მუშის მკურნალობის ხარჯებს და დამატებით საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გამგეობა მზადაა დაზარალებულებს დაეხმაროს.



რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ილია ლეჟავა, გვირაბის მშენებლობაზე უსაფრთხოების ნორმების სერიოზულ დარღვევებზე საუბრობს. მისივე თქმით, ხარაგაულში, სადაც ჩინური კომპანია სამუშაოებს აწარმოებს, პროფკავშირის ინსპექტორებმა მაისის თვეში მონიტორინგი ჩაატარეს და დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების მდგომარეობა შეამონმეს. დარგობრივმა პროფკავშირმა სიტუაციის გამოსასწორებლად რეკომენდაციები დამსაქმებელს წერილობით გადასცა. ილია ლეჟავა ამბობს, რომ სექტემბერში ახალი მონიტორინგი უნდა განეხორციელებინათ, რათა გაერკვიათ, დარღვევებიდან რა გამოსწორდა.

„ამ ობიექტზე მუდმივად შემოწმებას „საქართველოს რკინიგზა“ უნდა ახორციელებდეს, რადგან სამუშაოებს მისი კონტრაქტორი კომპანია ასრულებს. ეს ყველაფერი დებულებით აქვს გაწერილი რკინიგზას და ამას არ ასრულებს. ამაზე 20-მა არასამთავრობო ორგანიზაციამაც კი მისწერა თავის დროზე რკინიგზას. სამწუხაროდ, ეს დღემდე არ შესრულებულა. ჩვენ იქ ვნახეთ, რომ გვირაბში ვენტილაცია არ იყო მოწყობილი და მუშებს სუნთქვა უჭირდათ. იქ ყოფნისას ჩვენ გავაჩერეთ მუშაობა და განვაცხადეთ, რომ მუშაობა არ განახლდებოდა, ვიდრე ვენტილაციის პრობლემა არ მოგვარდებოდა. მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აფეთქებიდან 1,5 სთ გარეთ იქნებოდნენ მუშები და შემდეგ შევიდოდნენ, როდესაც ვენტილაცია გაუმჯობესდებოდა. ასევე ელექტროსადენები იყო შიშველ მდგომარეობაში. იქ უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან მძიმე მდგომარეობაა“, - განაცხადა ლეჟავამ.

განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“. როგორც ისინი აცხადებენ, გვირაბის მშენებლობის პროცესში მუშების უსაფრთხოების ზომები მკაცრად იყო დაცული. მათივე მტკიცებით, გვირაბის ჩამონგრევას ადგილი არ ჰქონია და საექსკავაციო ნაწილში მხოლოდ მცირე მოცულობის ქვა ჩამოვარდა.

„ გვირაბის მშენებლობის პროცესში დაშავებული მუშების უსაფრთხოების ზომები მკაცრად იყო დაცული. ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი აღჭურვილობით. უბედური შემთხვევის შემდეგ ჩვენი კომპანიის წარმომადგენლებმა მყისიერად მოახდინეს რეაგირება იმისათვის, რომ დაშავებულებისათვის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გაწევა ოპერატიულად მომხდარიყო. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა სამართალდამცავ ორგანოებს. ჩვენი კომპანია სრულად დაფარავს მკურნალობის ხარჯებს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს თამაზ ტალახაძის სწრაფ გამოჯანმრთელებას“, – აცხადებს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო.“

რა გახდა გვირაბის ჩამოშლის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. შსს-მ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს სამთო-სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების ნორმების დარღვევას.

ეკა შავიძე

კასორის წმინდა გიორგის სალოცავზე წირვა ჩატარდა

28 ივლისს, კვირიკობის დღესასწაულზე, სოფელ ფარცხნალში კახორის მთაზე, წმინდა გიორგის სალოცავზე, წირვა ჩატარდა. წირვა ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა იღუმენმა მამა ანტონმა (სულთანიშვილი)აღავლინა. ყოვლადუსამღვდელოესმა მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) კი წმინდა კვირიკესა და ივლიტას სავედრებელი პარაკლისი გადაიხადა და მრევლი დალოცა.

ტაძარში იმყოფებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, რომელმაც ადგილობრივებს „კვირიკობის“ დღესასწაული მიულოცა და მათ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვა.

ფარცხნალის კახორის წმინდა გიორგის ეკლესიაზე ისტორიული მასალები ძალზე მწირადაა შემორჩენილი. გადმოცემის თანახმად, სალოცავის აგება თამარ მეფის სახელს უკავშირდება. არის თქმულება, რომ კახორის მთაზე წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობის დროს ხალხი რიგში ჩამდგარა, ხელიდან ხელში აწვდიდნენ ქვებს ერთმანეთს და ასე აუზიდავთ სამშენებლო მასალა. XX ს-ის 30 - იან წლებში ეკლესია აუფეთქებიათ, ხატები ახლომახლო ტყეში მიუყრიათ, ნაწილი ცეცხლისათვის მიუციათ.

„კვირიკობის“ დღესასწაულის აღსანიშნავად კახორის მთაზე უამრავი ადამიანი იკრიბება. სალოცავი 2008 წელს აღადგინეს, წლების განმავლობაში კი ხალხს აქ მხოლოდ იმ ეკლესიისგან შემორჩენილი საძირკვლის ნაშთი ხვდებოდა.

ეკა შავიძე

კიკნაძის ქუჩაზე საურბანი კედლები მოეწყო

დაბა ხარაგაულში კიკნაძის ქუჩაზე საყრდენი კედლის მშენებლობა დასრულდა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 13 995 ლარით დაფინანსდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ არჩილ მაღრაძემ და გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა თემური თაბუკაშვილმა შესრულებული სამუშაოები დაათვალიერეს. როგორც ჩვენთან საუბარში ბატონმა არჩილმა განმარტა, უახლოეს მომავალში ხარაგაულის ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაცია იწყება. გამგებლის პირველი მოადგილე ამბობს, რომ აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის გამგეობამ ტენდერი 180 ათას ლარზე უკვე გამოაცხადა და, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს დეკანოსიძის ქუჩის პირველი ჩიხი, 9 აპრილის ქუჩის მეორე, მესამე, მეხუთე, მეექვსე ჩიხები, წერეთლის ქუჩის მეორე ჩიხი, დევდარიანის ქუჩის პირველი და მესამე ჩიხები, სოლომონ მეფის მეორე შესახვევი და ასევე სოლომონ მეფისა და 9 აპრილის ქუჩების გადაკვეთა, კეთილმოწყობილი იქნება.

2015-2016 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადაეცათ

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არაერთ პროექტს თუ პროგრამას ახორციელებს, მათ შორისაა „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამა“, რომლის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენა. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადაეცათ. მედლების გადაცემის ცერემონიალს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, **დავით კიკნაძე**, საკრებულოს წევრი **მარინე ვეფხვაძე**, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, **ირინე ჩხეიძე**, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი, **ოთარ ღურსმანაშვილი**, სკოლის დირექტორები და საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

დავით კიკნაძემ კურსდამთავრებულებს მედლები პირადად გადასცა და მათ მომავალში წარმატებები უსურვა. საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხარაგაული ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ინტელექტუალობით და დღევანდელი დღეც სწორედ ამის დასტურია.

ოქროს მედალოსანმა მადონა შველიძემ მადლობა გადაუხადა საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებს და დასძინა, რომ ეს მისთვის დიდი მოტივაციაა. „ნამდვილად ბედნიერი დღეა ჩემს ცხოვრებაში. შევეცდები, მომავალში უფრო წარმატებული ვიყო და ხარაგაული ვასახელო. მიხარია, რომ გაწეული შრომა დამიფასდა და ეს უდიდესი ჯილდო წილად მხვდა“.

2015-2016 სასწავლო წელს მუნიციპალიტეტს 18 მედალოსანი ჰყავს, აქედან 8 ოქროს მედალოსანია. აღსანიშნავია, რომ მედალოსანთა სიაში ყველაზე მეტი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის კურსდამთავრებულები არიან.

1. დაბის №2 საჯარო სკოლა - მადონა შველიძე (ოქრო);
2. დაბის №2 საჯარო სკოლა - ნინო მაღრაძე (ოქრო);
3. კიცხის საჯარო სკოლა - გიორგი მდინარაძე (ოქრო);

4. ლაშის საჯარო სკოლა - ნუგზარ მაჭავარიანი (ოქრო);
5. ლაშის საჯარო სკოლა - ვლადიმერ მაღრაძე (ოქრო);
6. წიფის საჯარო სკოლა - ანა კვინიკაძე (ოქრო);
7. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - არჩილ მაისურაძე (ოქრო);
8. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - თამარ სხილაძე (ოქრო);
9. დაბის №2 საჯარო სკოლა - მარი მაღლაფერიძე (ვერცხლი);
10. კიცხის საჯარო სკოლა - სალომე პაპიძე (ვერცხლი);
11. მარელისის საჯარო სკოლა - მარიამ ფცქიალაძე (ვერცხლი);
12. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - ზურაბ აბაშიძე (ვერცხლი);
13. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - ანი ბლუაშვილი (ვერცხლი);
14. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - სალომე ვეფხვაძე (ვერცხლი);
15. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - თამარ კიკნაძე (ვერცხლი);
16. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - ნოდარ შავიძე (ვერცხლი);
17. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - ანი ჩხეიძე (ვერცხლი);
18. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - ნინო ჭიპაშვილი (ვერცხლი).

შეგახსენებთ, რომ მედალოსან კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები ეროვნული სასწავლო გეგმით რეგულირდება. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 (დამრგვალების გარეშე) და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.

ეკა შავიძე

დიდხანს ელოდა „კიჭოს მსხალზე" ჩამოკიდებული თოხი პატრონს...

ძვირფასო მკითხველო!

კარგად იცი, რომ, როცა ეს წერილი იბეჭდება, არც ოცდაორი ივნისია და არც ცხრა მაისი... მაგრამ ისიც კარგად იცი, საკითხი, რომელიც დიდ სამამულო (1941-1945) ომს ეხება, არასდროსაა არააქტუალური და მიმდინარე მოვლენებთან შეუსაბამო.

ეს წერილი, ერთი შემთხვევის გამო, „ცხელ გულზე" იწერება და მინდა, შენთან საუბრით დავმშვიდდე და გულის ტემპერატურაც დაბლა დავწიო...

ჩემზე უკეთ იცი, რომ დრო ყოველივეს საუკეთესო მსაჯულია. ის თემიდას სასწორით წონის გარდასულ დღეებს და ხდება ბევრი რამის გადაფასება. მაგრამ განა შეიძლება „გადაფასდეს" ის დაღვრილი სისხლი, რომელიც ჩქეფდა იმ თაობებში, რომელთა დიდი ნაწილი ზემოთ ხსენებულ ომს შეეწირა...

***

ერთ-ერთ ოჯახში ვიმყოფებოდი სტუმრად. ამ ოჯახიდან სამამულო ომში ერთდროულად გაიწვიეს მამა-შვილი. ორივეს სიცოცხლე სტალინგრადთან (დღევანდელი ვოლგოგრადი) დასრულდა. შვილები და შვილიშვილები დიდი სიამაყით საუბრობდნენ მათზე, მიჩვენებდნენ საოჯახო ალბომიდან სურათებს. მალე ჩვენს ბაასს ოჯახის ახლობელი სტუდენტი შემოუერთდა. როცა საუბრის თემა შეიტყო, ასეთი ფრაზით „შემოგვეშველა": - ეს უთაობა იყო, რა გვრჯიდა „სხვის ომში" რომ ვიბრძოდითო...

ძვირფასო მკითხველო!

ამგვარი შეფასება ლახვარივით მომხვდა გულზე...

ქართველთა ყოფის ეს მძიმე წლები სათანადოდაა ცნობილ მკვლევართა მიერ შესწავლილ-გაანალიზებული და ამას ჩემი კომენტარი, რასაკვრიველია, არ სჭირდება.

ძალზე ბუნებრივად და ტაქტიანად „შეიჭერი" ყმაწვილის „ცოდნის" სამყაროში და მალე დავრწმუნდი, რომ ამ მსჯელობაში ბრალი ნამდვილად არ მიუძღოდა მისი სკოლის ისტორიის მასწავლებლებს. ყველაფერში „დამნაშავე" წიგნთან და წიგნიერებასთან დაშორება იყო, ყურმოკრულის რაღაც ზედაპირულად გამეორება... მე კი ნამდვილად კიდევ უფრო შემებრალნენ ჩვენი შინმოუსვლელებიცა და შინმოსულებიც, რომლებიც სამშობლოს დაძახილზე უყოყმანოდ გადაეშვნენ ომის ქარცეცხლში... გამახსენდა ჩემი სოფელი, ჩემი თეთრაწყარო, ნებიერიძის ქალი, ჩემი ოლღა ბებია, ომში წასვლის წინ მისმა დათიამ ნაჩქარევად რომ მიიღო საუზმე და მის დაობებულ ლუკმებს ბებო მიჩვენებდა ხოლმე, ლამბაქზე ფაქიზად შენახულს; ჩემი სანდრო ბაბუა გამახსენდა, მიწასთან ჭიდილით დაღლილი, სამზადი სახლის წინკარში რომ დაჯდებოდა ნასადილევს და სიმღერას დაიწყებდა :

„მიტრო, ვალოდი, სადა ხართ,
სადა ხართ, ჩემო ბიჭებო!"

ამას „სანდროს ბაიათებს" ეძახდნენ სოფელში. ტექსტისა და მელოდიის „ავტორი" თვითონ იყო სანდრო ბაბუა, მაგრამ ეს როდი იყო სიმღერა, მოხუცს თვალებიდან მდუღარე ცრემლები სდიოდა, თავის ორ შინმოუსვლელ ვაჟკაცს - დიმიტრი (მიტუშა) და ვალოდია გიორგიძეებს - უხმობდა ამ „სიმღერით"; ჩემი, შრომით ხელებდაკოჟრილი, მიხაკო ბაბუა მომაგონდა საფლავში რომ ჩაიყოლა თავისი ამბროსისა და პავლეს მონატრება; ჩემი შუშანკა ბიცოლა მომაგონდა, ლელვნიდან რომ თეთრაწყაროში დაამკვიდრა ვარლამ გიორგიძის სიყვარულმა; თამარა ბიცოლა თავის აკაკის მოელოდა, ხოლო ვარინკა ბებია „ღიმილის ბიჭს", ლევანს, – ყირიმიდან... მერე? აღარ მეშვებოდა „მერე" და „მერე"... მერე ხარაგაულის სიამაყე, 92 წელს გადაცილებული ცოცხალი მემატიანე, კაცი-ლეგენდა, ყველა ჩვენგანის უსაყვარლესი გიორგი(ჟორა) ბლუაშვილის (ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს!) საბრძოლო ცხოვრების შთამბეჭდავი ეპიზოდი გამახსენდა - ავტომატში ერთ ტყვიას საგანგებოდ საკუთარი სიცოცხლის ხელყოფისათვის რომ ინახავდა, თუ ტყვედ ჩავარდნის საფრთხე დაემუქრებოდა...

ფიქრმა ისევ თეთრაწყაროდან წასულებთან დამაბრუნა და მომაგონდა კიჭოს მსხლის ხეზე დაკიდებული თოხის ამბავი, სინანულით რომ ჰყვებოდნენ თეთრაწყაროში ქალიცა და კაციც, მოხუციცა და ახალგაზრდაც...

***

მე და ჩემი ტოლები „ჭალაში" საქონლის სამწყემსურიდან დაბრუნებისას ე.წ. „მარანთან" შევისვენებდით და „ჟორჟიკას წყაროს" ცივ წყალს დავეწაფებოდით, დავთქვამდით, რომ მეორე დღეს საქონელი „საფერეებში", „ჟორჟიკას ეკლებში" (აკაცია) წაგვეყვანა... როცა წამოვიზარდე, შევიტყე, რომ წყაროსაც და ეკლებში საძოვარსაც ერთ ალალმართალ, გამრჯე კაცს, ჩემი თანაკლასელი ია ნიკოლეიშვილის მამას, გიორგი (ჟორჟიკა) ნიკოლეიშვილის სახელს უკავშირებდნენ. სწორედ მას „დაუტყვევებია" ხანდების თლილ ქვაში თეთრაწყაროს მადლიანი მიწიდან ამომდინარე „სიცოცხლის ელექსირი", მასვე გაუშენებია ზემო „საფერეებში" ეკლის პლანტაცია...

***

სარგვეშელი ყმაწვილი გიორგი (ჟორჟიკა) ნიკოლეიშვილი თბილისის ვალერი ჩკალოვის სახელობის საავიაციო სასწავლებელში სწავლობდა, როცა იგი თეთრაწყაროელ ნინა ნოეს ასულ ვეფხვაძეზე დაქორწინდა. ნინა ადრე დაობლებულა. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ნოე ვეფხვაძე, შინ დაბრუნებისას იმ პერიოდში გავრცელებულმა ინფექციურმა დაავადება „ისპანკამ", იმსხვერპლა...

კაცის მარჯვენას დანატრებულმა ოჯახმა თბილისში სიძის სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნა ვეღარ შეძლო. ჟორჟიკა შინ დარჩა, საკოლმეურნეო შრომაში ჩაება, ჯერ რგოლს ხელმძღვანელობდა, შემდეგ - მევენახეთა ბრიგადას. ალალმართალმა და შრომისმოყვარე ვაჟკაცმა მალე ყველა მეზობლისა და ახლობლის სიყვარული მოიპოვა. ამ სიყვარულში განვლო ათმა წელმა. გამრავლდა და სიხარულით აივსო კერა. იქ სამმა ღუღუნა მტრედმა - სოსომ, იამ და მზიამ - გაიკეთა ბუდე...

როგორც ჩვენთან იტყვიან, ჟორჟიკამ ყანაში პირადი (პირველი გათოხნა) დაამთავრა, ყანიდან გამოვიდა, თოხი სერზე კიჭოს ტოტებგადაშლილ მსხალზე ჩამოჰკიდა, თვითონ ჩრდილში შეისვენა, როცა ფოსტალიონმა კომისარიატის უწყება გადასცა ომში გაწვევის შესახებ...

- ეს თოხი სახლში რაღაზე წევიღო, წავალ, მალე გადავდენით ფაშისტებს და მორადის (მეორე გათოხნა) დაწყებამდე ქე მოვალ, - დარწმუნებით უთხრა უწყების მომტანს, გამოეთხოვა ცოლ-შვილს და წავიდა თავისი ვალის პირნათლად მოსახდელად...

... და დიდხანს ელოდა „კიჭოს მსხალზე" დაკიდებული თოხი პატრონს, დიდხანს ელოდა ერთგული, უპატიოსნესი მეუღლე, ნინა ვეფხვაძე, თავის ჟორჟიკას... წამითაც არ ავიწყდებოდა მისი დანაბარები:

- ჩემო ნინა, პატარა ხანს შენ უნდა იყო ამ ოჯახში ქალიც და კაციც, ჩვენს ბარტყებს არაფერი მოაკლო, მე მალე ჩამოვალ და, ხომ იცი ჩემი ამბავი - არაფერს გაგიჭირვებთ, ყველაფერი ბევრი გვექნება...

***

ომში გაწვეულთა ეშელონი ჯერ ისევ ანაკლიაში იდგა, როცა ნინა ვეფხვაძემ მეუღლის სასწრაფო ოპერაციის ამბავი შეიტყო. შვილები კეთილ მეზობლებს ჩააბარა და ანაკლიისაკენ გაეშურა...

- ბავშვები რატომ დატოვე, მე არაფერი მიჭირს, შენ კი ძალით გაიწვალე თავი, ჩემო ნინა! - ამ მსუბუქი საყვედურით გამოისტუმრა ჰოსპიტლიდან მეუღლემ... ეს იყო და ეს. ჯარისკაცის ცოლს ამის შემდეგ თავისი ჟორჟიკას აღარც სახე უხილავს და აღარც ხმა გაუგონია...

კარგა ხანს მოდიოდა სამკუთხა ბარათები კრასნოდარის მხარიდან, ქერჩიდან... ყველა წერილს ახლდა თხოვნა შვილებზე გაორმაგებული ზრუნვისა და იმედი შინ მალე დაბრუნებისა. მალე კი ნინა ვეფხვაძე ჯარისკაცის ქვრივი გახდა კომისარიატიდან მიღებული საშინელი ცნობით...

ობლობის მწარე ხვედრმა დასეტყვა სოსოს, იასა და მზიას ბავშვობა. ნაცრისფერმა დღეებმა დაისადგურა ნიკოლეიშვილების კერაზე,მაგრამ პატიოსნებისა და შრომის ჩირაღდანი მაინც უქრობად ენთო. მის შუქში ეზიარნენ ამაღლებულ ადამიანურ ფასეულობებს მამით დაობლებული შვილები. თუმცა ავმა საწუთრომ განსაცდელი არ ააცდინა ამაგდარ დედას - სიკვდილის შავმა აჩრდილმა წარიტაცა უსაყვარლესი პირმშოს, სოსო (სოსიკო) ნიკოლეიშვილის სიცოცხლე, არც ბაბუის სეხნია შვილიშვილს, გიორგი ნიკოლეიშვილს, მისცა დიდი ხანი ამქვეყნიურ სამზეოში და ოცდაერთი წლისა გადაასახლა მარადისობაში.

ოცდაექვსი წლის ასაკიდან უღელჩამოტეხილი ეჭიდებოდა ცხოვრებას ნინა ვეფხვაძე-ნიკოლეიშვილი. მან 97 წელი დაჰყო ამქვეყნად და ბოლო 12 წელი უსინათლომ, მზის შუქს მონატრებულმა. აღსასრულის ჟამს მაინც „დაინახა" თურმე თავისი საყვარელი ჟორჟიკა, რომელსაც შველას სთხოვდა, ევედრებოდა...

დღეს შვილიშვილები: ნინო ნიკოლეიშვილი და ბესიკ პეტრიაშვილი აგრძელებენ ბებია-ბაბუის სიცოცხლეს. ქალიშვილები, ია და მზია ნიკოლეიშვილები, ერთგულ დარაჯებად უდგანან მშობლების, ძმისა და ძმისშვილის კერას, სადაც მათი ხსოვნის სანთელი ბდღვრიალებს.

ძვირფასო მკითხველო!

ამ თემაზე შენთან სასაუბროს რა გამომილევს, მაგრამ უნდა დავსვა წერტილი და ხარაგაულიდან გაწვეული 5706 მებრძოლის მისამართით თქვენთან ერთად გავიმეორო შოთა ნიშნიანიძის სიტყვები:

„ათასი დაფნა,
წიგნი,
მოლბერტი,
ვინც სინდისს თავი არ აარიდა!"

დიახ, სინდისი იყო ის უპირველესი გზამკვლევი, რომლითაც გმირობისა და თავდადების საამაყო ფურცლები ჩაწერეს პატარა ერის დიდმა შვილებმა „სხვის ომში..."

„მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!"

მწამს, ვერავითარი ქარიშხალი ვერ ჩააქრობს ამ სანთლებს...

მწამს!

მერი გიორგიძე

ვახანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, მოინახულა

ვახანში ცენტრალური გზის 3 500 მეტრიანი მონაკვეთის მობეტონება აქტიურად მიმდინარეობს. ე.წ. „ლომსაძეების წყაროდან" სოფლის სკოლამდე 1 900 მეტრიან მონაკვეთზე 3 მ. სიგანისა და 16 სმ. სისქის ბეტონის საფარი მოეწყობა, ხოლო სკოლიდან 1 600 მეტრზე ე.წ. „ბონდის ხიდებამდე" - 4 მ. სიგანისა და 16 სმ. სისქის. გზას ყოველ 6 მეტრში, ტემპერატურულ ნაკერებში, დაჰყვება არმატურა. ასევე, პროექტის ფარგლებში გზის მთელ სიგრძეზე, საჭიროების ადგილებზე, მოეწყობა ცხაურები და სანიაღვრე არხები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ და ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, თემური თაბუკაშვილმა, ვახანში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერეს.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს შ.პ.ს. „მიმდემი" ასრულებს. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 460 800 ლარით ფინანსდება, მათ შორის, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 5%-ია.

სოფელ ვახანში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოები ოქტომბრის შუა რიცხვებში დასრულდება.

ეკა შავიძე

„ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის" პროგრამა ამოქმედდა

ერთი თვეა, რაც მთავრობის დადგენილებით „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის" პროგრამა ამოქმედდა. პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველ მოქალაქეს მედიკამენტის შეძენა სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად (არანაკლებ 5 თეთრისა და არაუმეტეს ერთი ლარისა) შეუძლია. ამ ეტაპზე გაიცემა 23 სახეობის მედიკამენტი, რომელიც გულსისხლძარღვთა სისტემის (მაღალი წნევა, გულის უკმარისობა, კორონარულ სისხლძარღვთა დაავადება), ენდოკრინოლოგიური დაავადებების, (დიაბეტის მეორე ტიპი და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები), ასთმისა და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის რაიონული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელის, ნაზი გველესიანის, ინფორმაციით აღნიშნული პროგრამით სარგებლობა შეუძლია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულ პირს, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას. როგორც ქალბატონი ნაზი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, ბენეფიციარმა რეგისტრაციისათვის სოციალური მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს ფორმა N 100 (ოჯახის ან სტაციონარის ექიმ სპეციალისტის მიერ დაწერილი) და პირადობის მოწმობა. ფორმა N100-ში კი განსაზღვრული უნდა იყოს მედიკამენტის დღიური ნორმა. „დარეგისტრირებული პირის მონაცემები გადაიგზავნება სააფთიაქო ქსელში და მოხდება ბენეფიციარის აღრიცხვა, რის შემდეგაც მოქალაქე შეძლებს მედიკამენტის შეძენას. მედიკამენტები იცემა ერთჯერადად სამი თვით. ხელახალი რეგისტრაცია საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ იცვლება დიაგნოზი, ან წამლის დღიური ნორმა. განმეორებითი რეგისტრაციის შემთხვევაში მოსარგებლემ საგენტოში უნდა წარმოადგინოს განახლებული ფორმა N100. თუ აფთიაქიდან მედიკამენტის გაცემის მომენტში შეიცვალა ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა და იგი აღემატება 100 ათას ერთეულს, პირი ვეღარ ისარგებლებს პროგრამით."

გაცნობებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში მედიკამენტების შეძენა შესაძლებელია „სახალხო აფთიაქში." პროგრამით მოსარგებლეს შეუძლია მიმართოს ქვეყნის მასშტაბით სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ (რეგიონულ ან რაიონულ დონეზე) ერთეულს რეგისტრაციისა თუ პრეპარატის მიღებისათვის.

თამარ მაღრაძე

კიცხში თვითნებური ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე სკვერი მოეწყო

არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ პროექტის „სუფთა გარემო ჩვენი უფლებაა, დაცვა-მოვალეობა“ ფარგლებში სოფელ კიცხში, ყოფილი თვითნებური ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე, სკვერი მოეწყო. აღნიშნული იდეის ინიციატორი ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ხათუნა მანჯავიძეა**. სკვერის გახსნას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **თემური ჩხეიძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**, გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ჯაბა ბერაძე**, გამგებლის წარმომადგენელი კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში **გია ჩხიკვაძე** და სოფლის მცხოვრებლები დაესწრნენ.

ხათუნა მანჯავიძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ თანამშრომლებს განეული დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ესაა მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს კეთილი საქმე ერთობლივი ძალებით. „ვფიქრობ, ეს ყველაფერი გადამდები იქნება და მოქალაქეები გარემოს დაბინძურებას მოერიდებიან. აღსანიშნავია, რომ პროექტი ქალების ჩართულობით განხორციელდა და მათი დახმარებით აღვწერეთ თვითნებური ნაგავსაყრელები, რომელთა რაოდენობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ორმოცდაათს შეადგენს. ჩვენ მხოლოდ სკვერის მოსაწყობი მასალები ვიყიდეთ, მუშახელი კი ადგილობრივმა თვითმმართველობამ დაგვახმარა“.-აღნიშნა პროექტის ავტორმა.

საკრებულოს თავმჯდომარის, **მანანა ბარბაქაძის**, თქმით, **ხათუნა მანჯავიძის** უშუალო ძალისხმევით მუნიციპალიტეტის მასშტაბით ბევრი სასარგებლო და საინტერესო პროექტი განხორციელდა. საკრებულოს თავმჯდომარე ამბობს, რომ ქალბატონი ხათუნა ძალიან აქტიური პიროვნებაა და ისე ზრუნავს ხარაგაულისა და მისი სოფლების გალამაზებაზე, როგორც საკუთარ ოჯახზე.

გამგებლის მოადგილემ, **თემურ ჩხეიძემ**, განმარტა,რომ მუნიციპალიტეტი მსგავსი იდეების განხორციელებას ყოველთვის მხარს დაუჭერს და **ხათუნა მანჯავიძეს** გვერდით დგომა აღუთქვა.

კიცხის საჯარო სკოლის დირექტორმა **თამარ წიწილაშვილმა** პროექტის ორგანიზატორს მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ადგილობრივები სკვერს მოუფრთხილდებიან და სისუფთავეს შეინარჩუნებენ.

კიცხში მცხოვრები **მაია გოგოლიძე** იხსენებს, რომ ადგილი, სადაც სკვერი მოეწყო, ძალიან დაბინძურებული იყო. ქალბატონი მაია გახარებულია სოფელში ასეთი კარგი საქმის გაკეთებით და მისი სურვილია, სკვერში პატარების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი გასართობი მოწყობილობა - „ბავშვების სასრიალო“- დაიდგას.

შეგახსენებთ, რომ პროექტი ქალთა ფონდმა დააფინანსა და მსგავსი ტიპის სკვერების გახსნა უახლოეს მომავალში საღანძილესა და ვერტყვიჭალაშიც იგეგმება.

ეკა შავიძე

მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსინათლო პირები ბრაილის შრიფტის მეშვეობით წერა-კითხვას შეისწავლიან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზის მობეტონებისა და ა(ა)იპ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში „უსინათლოთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის“ პროექტის განხორციელების შესახებ იმსჯელეს. საკითხი მათ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო.

გელაშვილის ინფორმაციით, მთავრობის N154 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ 223 000 ლარი გამოეყო და აღნიშნული თანხით წიფაში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია მოხდება.

დეპუტატმა გოგი ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობა ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას წლების განმავლობაში ელოდებოდა და ნამდვილად მისასალმებელია, რომ ეს პრობლემა გადაიჭრება.

საბიუჯეტო ცვლილებაში ასევე განიხილეს „უსინათლოთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის განხორციელების საკითხი.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის განცხადებით, პროექტის განხორციელებისათვის 7 200 ლარია საჭირო, რომელიც სოციალური პროგრამებიდან უნდა გამოთავისუფლდეს. **ვლადიმერ გელაშვილის** თქმით, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არის ადაპტირებული გარემო იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა უსინათლო პირებმა ბრაილის შრიფტის მეშვეობით შეისწავლონ წერა-კითხვა და კომპიუტერის სინთეზატორის გამოყენება.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატებს პრეტენზიები არ გამოუთქვამთ და საბიუჯეტო ცვლილებას მხარი დაუჭირეს.

თამარ მაღრაძე

„კონსტიტუცია - გზა თავისუფლებისკენ...“



მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მხარდაჭერით ხარაგაულელმა მოსწავლეებმა, მემორიალთან, ღია სივრცეში, პროექტის ფარგლებში „კონსტიტუცია - გზა თავისუფლებისკენ“, შემეცნებითი თამაშებით წარმოადგინეს. ნინო ჭყოიძემ, სალომე კვირიკაშვილმა, თიკა გელაშვილმა, მარიამ კვინიკაძემ, კესო შარიქაძემ, თიკო ჩხეიძემ, ბერიკა ებანოიძემ და ლუკა თაბუკაშვილმა ცოტა ხნის წინ საქართველოს კონსტიტუციის შესახებ საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი ტრენინგები გაიარეს. ნინო ჭყოიძე ამბობს, რომ მათ დავალება მიიღეს ტრენინგზე, თავიანთ მუნიციპალიტეტში გაეკეთებინათ პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას კონსტიტუციის შესახებ.

ტრენინგის მონაწილეები გაერთიანდნენ და ერთად გააკეთეს პროექტი, რომელიც რეალურად სამი სახის თამაშს მოიცავდა. თამაშში ჩართული ახალგაზრდები აგროვებდნენ ინფორმაციებს კონსტიტუციის შესახებ, რომელიც ლოკალურად რვა სხვადასხვა ორგანიზაციაში იყო განთავსებული. ვიქტორინაში, რომელიც პროექტის დასასრულს გაიმართა, ოცი მოხალისე ჩაერთო. ყველა მათგანმა კონსტიტუციიდან დასმულ შეკითხვებს სწორი პასუხი გასცა. თამაშის აქტიური მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიმბოლური საჩუქრებით. პროექტის ორგანიზატორები ამბობენ, რომ, თუ დაინტერესება იქნება, ასეთი სახის შემეცნებითი თამაშები კვლავ გაგრძელდება.

ლელა გუგულაშვილი

საგანმანათლებლო რესურსცენტრში საჯარო სკოლების დირექტორებთან თათბირი გაიმართა

19 ივლისს საჯარო სკოლების დირექტორებთან თათბირი გაიმართა. თათბირზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, **დავით კიკნაძემ**, რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა. ბატონმა დავითმა საშეშე მერქნის შესყიდვასთან დაკავშირებულ პროცედურებზე გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ აგვისტოს ბოლოსთვის ყველა საჯარო სკოლა ზამთრისათვის მომზადებული იქნება. დავით კიკნაძემ აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით სასკოლო ავტობუსით ყველა სკოლა დაკმაყოფილებულია. მან ასევე საზაფხულო ბანაკზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ წელს ბანაკით (მანავსა და კაჭრეთში) მუნიციპალიტეტის 91-მა მოსწავლემ ისარგებლა. თათბირზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ასევე დააანონსა, რომ უახლოეს პერიოდში ბორის სკოლა-პანსიონის ბაზაზე დღის ცენტრი ამოქმედდება. ცენტრი მომსახურებას გაუწევს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებს, რომლებსაც უფასო ტრანსპორტი მოემსახურებათ. რაც შეეხებათ სპეცპედაგოგებს, მათ უკვე გაიარეს შესაბამისი კურსები და მზად არიან გსმ ბავშვებთან სამუშაოდ.

თამარ მაღრაძე

ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რესურსცენტრი იქმნება

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის (დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი) ბაზაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რესურსცენტრი იქმნება. პროექტის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 7 200 ლარი გამოიყო და იგი მიზნად ისახავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსინათლო პირების სამოქალაქო აქტივობაში ჩართულობას, მათთვის ხელმისაწვდომი გზით ინფორმაციის მიღების ხელშეწყობას. ა(ა)იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკის“ დირექტორის მოადგილის, ნანა ლურსმანაშვილის, განმარტებით, უსინათლოები ხუთი თვის განმავლობაში ბრაილის შრიფტით წერა-კითხვას შეისწავლიან. იფუნქციონირებს ლიტერატურული და დრამატული წრეები. პროექტის ფარგლებში ასევე დაფუძნდება ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნება „ხმოვანი ბიბლიოთეკის“ ლიტერატურით. მოხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლა. ჯგუფები 3-4 წევრისაგან დაკომპლექტდება და ტრენინგები კვირაში ორჯერ, ორი საათის განმავლობაში, ჩატარდება.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ ეტაპზე პროგრამით 9 უსინათლო პიროვნება ისარგებლებს. პროექტის მენეჯერი გულნარა ჭარბაძე, ხოლო პროექტის ავტორი ზურაბ გოხაძე გახლავთ.

თამარ მაღრაძე

განცხადება

„ახალი ხარაგაულის“ N 357(16) -ში დაიბეჭდა სტატია სათაურით „მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს“. მასალაში გაიპარა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ავთანდილ კიკნაველიძის მაგიერ უნდა ეწეროს დავით კიკნაველიძე.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12